2015

საქართველოს სახალხო დამცველი

,,ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერების''

პროექტი (გრანტის შეთანხმება **N2014/004)**

შინაარსი

შინაარსი 2

შესავალი 3

1. პროექტის მიზანი 3

2. პროექტის ამოცანები 3

3. განხორციელებული სამუშაოები 4

3.1. განხორციელებული სამუშაოს ზოგადი აღწერა 4

3.1.1. არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში 4

3.1.2. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგი 6

4. რეკომენდაციები და წინადადებები 7

შესავალი

2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი ,, ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება''.

პროექტის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში განთავსებულ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი, რომელიც განხორციელდა ისეთი ფუნდამენტური პრინციპების მეშვეობით, როგორიცაა - სარწმუნო და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, კონფიდენციალობის დაცვა, სანდოობა, ზიანის არმიყენება, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სენსიტიურობა, პროფესიონალიზმი[1]. მონიტორინგის პროცესში აქტიურად იქნა გამოყენებული გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის 2000 წლის 28 ივნისისა და 2008 წლის 23 ივნისის დოკუმენტები - ,,დასკვნითი შენიშვნები ბავშვის უფლებების შესახებ'', რომელთა რეკომენდაციების[2] იმპლემენტაციისათვის, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება განხორციელდა სისტემური და სიღრმისეული მონიტორინგის საფუძველზე, არასათანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის გათვალისწინებით.

1. პროექტის მიზანი

პროექტის მიზანს წარმოადგენდა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში განთავსებულ ბავშვთა და საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების იმპლემენტაციის შემოწმება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო პრაქტიკული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების გზით.

2. პროექტის ამოცანები

- ბავშვთა დაცვის სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება;

---

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი ნაშრომში ,,სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების მონიტორინგის შესახებ'', პროფესიული ტრენინგების სერია N7, თავი 5, ძირითადი პრინციპები, გვ.87, ჟენევა, ISBN 92-1-154137-9

[2] http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,3ae6afc88,0.html
http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html

- ❖ ბავშვთა უფლებების კუთხით არსებული პრობლემური საკითხების გამოკვეთა: სიცოცხლის, განვითარების, ჯანმრთელობის, განათლების უფლებების დაცვის ხარისხის შეფასება სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებსა და მაღალმთიან რეგიონებში.

3. განხორციელებული სამუშაოები

3.1. განხორციელებული სამუშაოს ზოგადი აღწერა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

- ➢ ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში;
- ➢ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა/შემოწმება საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში;
- ➢ სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის შესახებ სოციალური რეკლამის შემუშავება;
- ➢ ბავშვთა უფლებების მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტის შემუშავება;
- ➢ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის დარღვევის/საჭიროებების შესახებ საქმისწარმოების განხორციელება და შესაბამისი მიმართვებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ➢ ბავშვის უფლებების ცენტრის 2014–2017 წლების სტრატეგიის წარდგენის მიზნით კონფერენციის ჩატარება.

3.1.1. არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების გეოგრაფიული დაფარვის არეალს წარმოადგენდა მესტიის, ყაზბეგის, ახმეტის, ონის, ამბროლაურის, ხულოს, შუახევისა და ქედას ტერიტორიულ ერთეულები.

მონიტორინგის შედეგები შემდეგი ძირითადი სფეროების მიმართულებით: სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლების განხორციელება, ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობა და იმპლემენტაციის ხარისხი, არასრულწლოვანთა ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვა, განათლების უფლების ხელმისაწვდომობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა.

შემოწმების განხორციელების ეტაპები:

- **განსახორციელებელი ქმედებები:** სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობების პასუხისმგებლობას დაქვემდებარებული დაწესებულების მონიტორინგი, მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის დადგენა, ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური განვითარების, შესაძლებლობებისა და დაინტერესების რეალიზების გათვალისწინებით.

  განხორციელებული ქმედებები: ჩატარდა მონიტორინგი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლა-პანსიონებში. ვიზუალურად და დოკუმენტურად შემოწმდა 30 სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება, ხოლო 80-მდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ განხორციელდა ინდივიდუალური საქმისწარმოება და გამოთხოვილი იქნა შესაბამისი ინფორმაცია.

- **განსახორციელებელი ქმედებები:** სამუშაო შეხვედრები სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან, სისტემური პრობლემების განხილვა, ინდივიდუალური დარღვევების იდენტიფიცირება.

  განხორციელებული ქმედებები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგიონულ ცენტრებში, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობების აღმასრულებელ ორგანოებში ჩატარდა 20 თემატური სამუშაო შეხვედრა.

- **განსახორციელებელი ქმედებები:** მდგომარეობის ადგილზე შემოწმებისა და ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, შეხვედრების განხორციელება ყველაზე დაუცველ და მოწყვლად ბავშვთა ჯგუფებთან.

  განხორციელებული ქმედებები: პროექტის ფარგლებში სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ბავშვიან ოჯახებში, ჩატარდა შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან და ადგილობრივი მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენლებთან, განხორციელდა თემატური შეხვედრები (35 შეხვედრა), დაიწყო ინდივიდუალური საქმისწარმოება, გამოთხოვილი იქნა საქმისწარმოებისათვის საჭირო ინფორმაცია.

  მონიტორინგის პროცესში მიღებული ინფორმაცია და გამოვლენილი დარღვევები დამუშავდა შემდეგი მეთოდებისა და ღონისძიებების მიხედვით:

  - **რეკომენდაციები და წინადადებები**[3] – მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის დარღვევის ინდივიდუალური/კოლექტიური შემთხვევების იდენტიფიკაციის შემდეგ, დარღვევების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება, პასუხისმგებელი სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიმართ წარსადგენად.

- მომზადდა 6 ძირითადი რეკომენდაცია და წინადადება;

---

[3] „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლი.

- **საქმისწარმოება**[4] – მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ დარღვევათა შემთხვევებზე ინდივიდუალური საქმისწარმოების განხორციელება, პასუხისმგებელი სახელმწიფო/თვითმმართველობის ორგანოებიდან ინფორმაციის/ახსნა–განმარტებისა და შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვის მიზნით.
- მონიტორინგის ფარგლებში ინდივიდუალური საქმისწარმოება განხორციელდა 190 შემთხვევაზე, რომელზეც მომზადდა 400-მდე ოფიციალური კორესპონდენცია პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოებისადმი წარსადგენად;

3.1.2. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგი

სახალხო დამცველის მანდატის[5] ფარგლებში, საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის სისტემური შემოწმება პირველად სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა. მონიტორინგის დაგეგმვის პირველ ეტაპზე კლასტერული მეთოდის გამოყენებით შერჩეულ იქნა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობების ტერიტორიული ერთეულები, ხოლო მე-2 ეტაპზე რენდომული შერჩევის მეთოდის მეშვეობით განისაზღვრა შესამოწმებელი საბავშვო ბაგა-ბაღები. შემოწმებულ იქნა შემდეგი 61 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება:

- ყაზბეგის მუნიციპალიტეტი – დაბა სტეფანწმინდის, გერგეტის, არშის, სიონის, გორისციხის, სნოს, აჩხოტის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ზემო სვანეთი – მესტიის №1, №2, სოფლების – ეცერის, მუჟალის, წვირმის, ლატალის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- დაბა ხულოსა და დაბა შუახევის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- დაბა ქედისა და სოფელ ზუნდაგის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ახმეტის მუნიციპალიტეტი – მატანის №1, სოფლების – ოჟიოს, ქისტაურის N1, შუა ხალაწანის, დუმასტურის, ქორეთისა და წინაუბნის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბისხევის №9, №10 და სოფელ მაღაროს საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ქალაქ ამბროლაურისა და სოფელ ნიკორწმინდის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- დაბა ონისა და სოფელ ღარის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები;
- ქალაქ თელავის №2, სოფელ კისიხევისა და ვანთას საბავშვო ბაგა–ბაღები;
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის №1 და სოფელ მაღლაკის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის №1 და მცხეთის მუნიციპალიტეტის №6 საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ქ. ბათუმის №12, №17, №20, №22 საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ქ. ქუთაისის №13, №17 და №18 საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ქ. თბილისის №6, №48, №71, №117, №98, №91, №170, №60, №205, №45, №201, №16, №136 საბავშვო ბაგა–ბაღები.

---

[4] „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლი.

[5] ,,სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-12 და მე-18 მუხლები.

რაოდენობრივი და თვისობრივი სოციოლოგიური მეთოდების ფარგლებში განხორციელდა ინტერვიურება დასამონიტორინგებელი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სააღმზრდელო და ადმინისტრაციულ პერსონალთან. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 350–მა აღმზრდელ–პედაგოგმა და 120–მა ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელმა.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგის პროცესში მიღებული ინფორმაცია და გამოვლენილი დარღვევები დამუშავდა შემდეგი მეთოდებისა და ღონისძიებების მიხედვით:

- **საქმისწარმოება**[6] – მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ დარღვევათა შემთხვევებზე ინდივიდუალური საქმისწარმოების განხორციელება, პასუხისმგებელი სახელმწიფო/თვითმმართველობის ორგანოებიდან ინფორმაციის/ახსნა–განმარტებისა და შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვის მიზნით. მონიტორინგის ფარგლებში ინდივიდუალური საქმისწარმოება განხორციელდა 30 შემთხვევაზე, რომელზეც, პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოებისადმი მომზადდა 70–მდე ოფიციალური კორესპონდენცია.

- **რეკომენდაციები და წინადადებები**[7] – საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის დარღვევის ინდივიდუალური/კოლექტიური შემთხვევების იდენტიფიკაციის შემდეგ, დარღვევების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება, პასუხისმგებელი სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიმართ წარსადგენად. მონიტორინგის ფარგლებში მომზადდა 3 ძირითადი რეკომენდაცია და წინადადება;

- **შესრულების მონიტორინგი** – ზემოაღნიშნული ქმედებების ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულებაზე განხორციელდა შესაბამისი მონიტორინგი. შემოწმების შედეგად წარმოჩნდა, პასუხისმგებელი ორგანოების მიერ პროექტის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციები და წინადადებები ნაწილობრივ შესრულდა.

4. რეკომენდაციები და წინადადებები

პროექტის ფარგლებში სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგისა და საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ არასრულწლვანთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების შედეგად, ,,სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის ,,ა'' და ,,ბ'' პუნქტების საფუძველზე მომზდდა შემდეგი 9 რეკომენდაცია და წინადადება:

---

[6] ,,სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლი.
[7] ,,სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლი.

- *წინადადება* საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ,,საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელმისაწვდომობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების შესახებ’’;

- *რეკომენდაცია* ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიბახევში დაწყებითი სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური რესურსებით დახმარების შესახებ’’;

- *რეკომენდაცია* ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ წვირმის საჯარო სკოლის მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისათვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებების განხორცილების შესახებ’’;

- *რეკომენდაცია* ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურის N1, მატანის N1 და ოჟიოს საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისათვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებების განხორცილების შესახებ’’;

- *რეკომენდაცია* საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის მიერ ფსიქო–სოციალური მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თერაპიის პროცესის აუდიო–ვიდეო ჩაწერის განხორციელების მართლზომიერებისა და მიზანშეწონილობის შესახებ’’;

- *რეკომენდაცია* ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლატალის, სოფელ ნაკრას, მულახისა და ყარსგურიშის თემების საჯარო სკოლების მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისათვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებების განხორციელების შესახებ’’;

- *რეკომენდაცია* მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,ა(ა)იპ. მესტიის მუნიციაპლიტეტის საბავშო ბაღების გაერთიანებაში შემავალ საბავშო ბაღებში აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისათვის საჭირო გასატარებელი ღონისძიებების შესახებ’’;

- *რეკომენდაცია* ,,დაბა მესტიის N1 და N3 საჯარო სკოლების მოსწავლეთა, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ადიშსა და სოფელ იელში მცხოვრები არასრულწლოვნების ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლებით უზრუნველყოფის შესახებ’’;

- *წინადადება* ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,ონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ''.

აღნიშნული პროექტის განხორციელების ეტაპები, შინაარსი და შედეგები აისახა სპეციალურ ანგარიშებში: „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში“ და „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგი“.